პირველი წრის უკანასკნელი მარცხი

30 ივნისს თბილისის “დინამომ” თავის მოედანზე ჩაატარა პირველი წრის უკანასკნელი მატჩი. ამ დღეს მის წინააღმდეგ თამაშობდა სტალინგრადის “ტორპედო”.

თბილისელები მოედანზე იმავე შემადგენლობით გამოვიდნენ, როგორც წინა თამაშზე და იგივე შეცდომა გაიმეორეს - ზაზროშვილი უკან დასწიეს და ღოღობერიძეს ამოუყენეს გვერდში. მსაჯის სასტვენის ხმაზე გუნდი შეტევაზე გადავიდა და პირველ წუთშივე ჯერ ზაზროშვილი გაიჭრა კართან, მერე ჯოჯუამ ძლიერად დაარტყა და ოდნავ ააცილა კარს. მე-2 წუთზე “დინამოს” კარში თავისუფალი დარტყმა ინიშნება. თბილისელებმა უყურადღებოდ დასტოვეს მოწინააღმდეგის თავდამსხმელები, რომლებმაც სწრაფად გაითამაშეს მარტივი კომბინაცია და ახლო მანძილიდან გახსნეს ანგარიში (1:0).

ამ მარცხს დინამოელებმა იერიშით უპასუხეს. 30 წუთის განმავლობაში გუნდი ენერგიულად უტევდა. მართალია, რთული კომბინაციები არ გათამაშებულა, მაგრამ შეტევა სწრაფი და გააზრებული იყო. ძლიერად და მონდომებით თამაშობენ გარემარბები - ჯოჯუა და გრამატიკოპულო. ისინი შეუნელებელი ენერგიით გადიან მოწინააღმდეგის კართან. მახარაძე ამ დღეს უგულოდ და ზერელედ თამაშობდა.

მოედნიდან გადის მარჯვენა გარემარბი ჯოჯუა. ტაიმის დასასრულ თბილისელებისაკენ ინიშნება საჯარიმო დარტყმა. სტალინგრადელმა ბარიშევმა “დინამოს” დამცველების მიერ აღმართულ კედელში მოძებნა “ხვრელი” და ძლიერად დაარტყა. მარღანიას ნახტომმა კარი ვერ იხსნა - 2:0.

მეორე ტაიმში სტალინგრადელები თამამად და თავისუფლად თამაშობდნენ. “დინამო” კი თანდათან კარგავს სისტემატურობას, იშლება ყოველგვარი ურთიერთმოქმედება და კავშირი ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის, “კომბინაციები” ბურთის მეორე გადაცემაზევე ქრება. “ტორპედოს” გუნდმა მაშინვე აუღო ალღო თბილისელების მიერ ბურთის ამ უაზრო გადაცემებს. მათი დამცველები დინამოელებზე ადრე გადიან თავისუფალ ადგილზე და უბრძოლველად იღებენ ბურთებს.

შუა ტაიმშივე აშკარა ხდება, რომ ანგარიშის გასწორება შეუძლებელია. თბილისელებს უჭირთ კარის დაცვა, მოწინააღმდეგის თავდამსხმელები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან მათ საჯარიმო მოედანზე. თამაშის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა “დინამოს” კარში მესამე ბურთი გავიდა. მარღანიამ და ძიაპშპამ ბურთი მოწინააღმდეგეს დაუტოვეს და ცარიელ კარში გაატანინეს.

ასეთი შედეგით - 0:3 დაამთავრეს დინამოელებმა პირველი წრე. ეს წაგება არ იყო შემთხვევითი, მარცხი კანონიერი და ლოგიკური ფინალია იმ სუსტი თამაშისა, რაც მათ მთელი წრის განმავლობაში გამოავლინეს.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 2 ივლისი, 1949 წ.